



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ქ.ოზურგეთი კოსტავას ქ.№1

7 აგვისტო 2013 წელი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №235

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შესრულების კონტროლის კომისიის შექმნის შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის, „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების 22-ე მუხლის შესაბამისად:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული პროექტების მთლიანი ან ნაწილობრივი სამსენებლო სამუშაოების, მისაწოდებელი ან/და მიწოდებული საქონლის, მომსახურების, სამუშაოს მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობაში შეიქმნას სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შესრულების კონტროლის კომისია (შემდგომში - „კომისია“) შემდეგი შემადგენლობით:

ა) კომისიის თავმჯდომარე:

გიორგი ღურჯუმიძე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი;

ბ) კომისიის თავმჯდომარის მოადგილე:

თემურ გიორგაძე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკის, ინფრასტრუქტურის და საინვესტიციო გარემოს განვითარების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;

გ) კომისიის წევრები:

გ.ა) გერმანე ჭანუყვაძე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;

გ.ბ) თემური მურვანიძე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;

გ.გ) ამირან გირკელიძე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახელმწიფო შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სამსახურის უფროსი.

2. დაევალოს კომისიას ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ინფრასტრუქტურული, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში დაფინანსებული პროექტების, მიღებული

საქონლისა და მომსახურების, ასევე მთლიანი ბიუჯეტით გათვალისწინებული მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოების შესწავლა.

3. კომისიის ადმინისტრაციული საქმისწარმოებისა და განსახორციელებელი საქმიანობის გამარტივების მიზნით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკის, ინფრასტრუქტურის და საინვესტიციო გარემოს განვითარების სამსახურის ბაზაზე შეიქმნას კომისიის აპარატი, რომლის შემადგენლობას განსაზღვრავს კომისია.

4. კომისიის აპარატის ხელმძღვანელობა და სამუშაოს კოორდინირება დაევალოს კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს.

5. კომისიის მობილურების გაზრდის მიზნით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკის, ინფრასტრუქტურის და საინვესტიციო გარემოს განვითარების სამსახურის, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურისა და ა.(ა).ი.პ „კეთილმოწყობისა და არქიტექტურული დაგეგმარების ცენტრი“-ს თანამშრომელთა ბაზაზე შეიქმნას მობილური ინსპექტირების ჯგუფები, რომლის კოორდინირება დაევალოს კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს.

6. დაევალოს კომისიას ერთი კვირის ვადაში განსაზღვროს ჯგუფების რაოდენობა და შემადგენლობა, ასევე განიხილოს ჯგუფის უფროსების შერჩევისა და დანიშვნის საკითხები.

7. დაევალოს კომისიას ერთი კვირის ვადაში შეიმუშაოს და დაამტკიცოს (გადაწყვიტოს) კომისიის, კომისიის აპარატისა და ინსპექტირების მობილური ჯგუფების უფლებამოსილებისა და სამუშაოთა განაწილების საერთო გეგმა.

8. ბრძანება გადაეგზავნოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას.

9. ამ ბრძანების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შესრულების კონტროლის მიზნით სპეციალური ინსპექტირების ჯგუფის შექმნის შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2010 წლის 29 ნოემბრის №122 ბრძანება.

10. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის.ქ. ოზურგეთისიორიძის ქ.№14).

11. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

ავთანდილ სურგულაძე